ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №207

ქ. ბათუმი 24 ნოემბერი, 2017 წელი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ შ.პ.ს. „ბათუმის წყალი“ (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თენგიზ ქოქოლაძის სახით, და მეორეს მხრივ შპს „BUILDING” (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის გოჩა ბასილაძის სახით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 17 ნოემბრის N3063 განკარგულების (SMP170002643) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 22 ნოემბრის #146 განკარგულების საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს: სოფელ ხალაში, მდინარე ჩაქვისწყლის სასმელი წყლის ნაგებობის მიმდებარე, სანაპიროს სამაგრი მონოლითური რკინა-ბეტონის ჯებირის მოწყობის სამუშაოები თანახმად ხარჯთაღრიცხვისა.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **182288,78 (ასოთხმოცდაორი ათას ორასოთხმოცდარვა ლარი და სამოცდათვრამეტი თეთრი)** ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3.2 დაფინანსების წყარო – 2017 წლის სახსრები.

4. ანგარიშსწორების ფორმა

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე გადარიცხვით, ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოების სრულად დასრულების შემდგომ, შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდგომ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4.4 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ანაზღაურებაზე.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება ხდება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და შესრულებული სამუშაოების ფორმა N2-ის წარმოდგენის შემდეგ.

5.2 სამშენებლო სამუშაოები ან მისი ნაწილის, ეტაპის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესრულებული სამუშაოს წუნდების მიზეზების მითითებით.

6. სამუშაოთა ხარისხი და საგარანტიო პირობები
6.1 გაწეული სამუშაოები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს, კერძოდ საპროექტო დოკუმენტაციასა და ხარჯთაღრიცხვას.
6.2 მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება საგარანტიო ვადა - საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 12 (თორმეტი) თვე სამუშაოების დასრულების დღიდან.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს აღნიშნული სამშენებლო სამუშაოები მითითებულ ვადაში. სამუშაოს პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა მოთხოვნები და შენიშვნები, გაუწიოს სამშენებლო სამუშაოები სრული მოცულობით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.
7.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შესასრულებელი სამუშაოს შესრულება საპროექტო დოკუმენტაციისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.
7.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე საჭირო სამშენებლო მასალების ხარისხი გამოყენებამდე შეათანხმოს ,,შემსყიდველს".
7.4 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელს აუნაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის
8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს 3%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3. - ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ასევე ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ,,მიმწოდებელს" ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები
9.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):
9.2.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში;

9.2.2 თუკი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;
9.2.3 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის გაფრთხილების მიუხედავად იმავე პირობის განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში;
9.2.4 ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტი) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულად შესრულებას;
9.3 შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ სარემონტო სამუშაოები. კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით განახორციელებენ: შპს ,,ბათუმის წყალი"-ს მთავარი ინჟინერი მამუკა ქოქოლაძე, შპს ,,ბათუმის წყალი"-ს წყალმომარაგების სამსახურის უფროსი გოჩა კაჭახმაძე, შპს ,,ბათუმის წყალი"-ს სამუშაოთა მწარმოებელი ოთარ ძნელაძე. შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ; ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ხარისხი, შესრულების ვადა.
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
10.4 შემსყიდველის მხრიდან შესრულებული სამუშაოს შემოწმებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: შპს ,,ბათუმის წყალი"-ს მთავარი ინჟინერი მამუკა ქოქოლაძე, შპს ,,ბათუმის წყალი"-ს წყალმომარაგების სამსახურის უფროსი გოჩა კაჭახმაძე, შპს ,,ბათუმის წყალი"-ს სამუშაოთა მწარმოებელი ოთარ ძნელაძე.
10.5 წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 10.4 პუნქტში მითითებული პირები.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;
11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.5 მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 5 დღისა.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო კალენდერული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დამატებითი პირობები

13.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
13.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
13.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
13.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
13.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოსმიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
13.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება შემსყიდველთან და მიმწოდებელთან.
13.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესისდა მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.3 თუ მიმწოდებელი არ არის საქართველოს რეზიდენტი, ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების განხილვა განხორციელდება საარბიტრაჟო გარჩევის გზით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაეროს საარბიტრაჟო კომისიის წესების შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 სამუშაოების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2017 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

15.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი

შპს „ბათუმის წყალი"
მის: ქ. ბათუმი, თაბუკაშვილის ქ. 19
ს/კ 245556679
ს.ს. საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE58BG0000000264853901
ტელ: 577983222, 577105270
ელ. ფოსტა: info@bats.ge

გენერალური დირექტორი
თენქიზ ქოქოლაძე

შემსყიდველი

შპს „BUILDING"
მის: ქ. ბათუმი, დასახლება კახაბერი
ს/კ 445410957
ს.ს. თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE80TB 7271836080100002
ტელ: 577210629
ელ. ფოსტა: batumeli76@rambler.ru

დირექტორი
გოჩა ბასილაძე

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა №1

სოფელ ხალაში მდ. ჩაქვისწყლის, სასმელი წყლის ნაგებობის მიმდებარე მდინარის სანაპიროს სამაგრი მონოლითური რ/ბ–ის ჯებირის მოწყობა

№	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	ნორმატიული რესურსი			ხელფასი		მასალა		სამშენებლო მექანიზმი		ჯამი
			განზ	ერთ	სულ	ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	საბ.	**მდინარის კალაპოტის ჩახერგვა ნაწილობრივ. ბრუნრის დამუშავება ექსკავატორით L-50მ.**	მ3		2550,00							**13877,50**
		შრომითი რესურსები	კაც/დღე		15,00	90,00	1350,00					1350,00
		მანქანების მომსახურება	მან/სთ		165,00					17,50	2887,50	2887,50
		ბრუნტი	მ3		160,00			26,50	4240,00			4240,00
		სხვადასხვა მასალები	ლარი						2100,00			2100,00
		ავტოთვითმცლელის მომსახურება	რეისი		30,00					110,00	3300,00	3300,00
2	საბ.	**მონოლითური რკინა ბეტონის ჯებირის საძირკვლისათვის ძვაბულის მოწყობა, ექსკავატორით, ნაწილობრივ ბაზიდვით.**	მ3		423,00							**4484,00**
		შრომითი რესურსები	კაც/დღე		9,00	76,00	684,00					684,00
		მანქანების მომსახურება	მან/სთ		120,00					17,50	2100,00	2100,00
		ავტოთვითმცლელის მომსახურება	რეისი		25,00					68,00	1700,00	1700,00
3	საბ.	**მონოლითური რკინა ბეტონის საძირკვლის მოწყობა ჯებირის კედლის ძვეშ. 30,0 მX2,5X1,7**	მ3		127,50							**41703,65**
		შრომითი რესურსები	მ3		127,50	80,00	10200,00					10200,00
		სხვადასხვა მანქანები და მექანიზმები	ლარი									0,00
		ბეტონი B-35 (მ-450)	მ3		127,50			125,00	15937,50			15937,50
		არმატურა D-16 ა-III	ტონა		3,50			1380,00	4830,00			4830,00
		საყალიბე შანერა	ცალი		43,00			102,00	4386,00			4386,00
		ხის დახერხილი მასალა წიწვოვანი	მ3		6,25			534,2	3338,75			3338,75
		ლურსმანი 120მმ.	ყუთი		2			59	118,00			118,00
		შავი შემკვრელი მავთული 1,2 მმ.	კბ		60			2,54	152,40			152,40
		ლურმანი 100 მმ	ყუთი		2			58	116,00			116,00
		სხვადასხვა დამხმარე მასალა	ლარი						1350,00			1350,00
		ბეტონის ტუმბოს მომსახურება (კომპა)	მ3		127,5					10	1275	1275,00
4	საბ.	**მონოლითური რკინა ბეტონის ჯებირის კედლის მოწყობა.**	მ3		105,75							**43120,29**
		შრომითი რესურსები	მ3		105,75	80	8460,00					8460,00
		სხვადასხვა მანქანები და მექანიზმები	ლარი								1400	1400,00
		ბეტონი B-35 (მ-450)	მ3		105,75			125,00	13218,75			13218,75
		არმატურა D-16 ა-III	ტონა		4,651			1380	6418,38			6418,38
		არმატურა D-12 ა-III	ტონა		0,54			1380	745,20			745,20
		საყალიბე შანერა	ცალი		68			102	6936,00			6936,00
		ხის დახერხილი მასალა წიწვოვანი	მ3		5,49			534,2	2932,76			2932,76
		ლურმანი 120 მმ.	ყუთი		2			59	118,00			118,00
		ლურმანი 100 მმ.	ყუთი		1			58	58,00			58,00
		ლურმანი 80 მმ.	კბ		15			2,4	36,00			36,00
		შავი შემკვრელი მავთული 1,2 მმ.	კბ		55			2,54	139,70			139,70
		სხვადასხვა დამხმარე მასალა	ლარი						1600,00			1600,00
		ბეტონის ტუმბოს მომსახურება (კომპა)	მ3		105,75					10	1057,5	1057,50
5	საბ.	**მონოლითური რკინა ბეტონის ფილის მოწყობა.**	მ2		360							**29074,30**
		შრომითი რესურსები	მ2		360	25,5	9180,00					9180,00
		ბეტონი B-35 (მ-450)	მ3		72			125,00	9000,00			9000,00
		არმატურა D-12 ა-III	ტონა		6,13			1380	8459,40			8459,40
		შემკვრელი მავთული 1,2 მმ.	კბ		35			2,54	88,90			88,90
		სხვადასხვა დამხმარე მასალები	ლარი						950,00			950,00
		ღორღის ფუძის ფენის მომზადება	მ3		18			32	576,00			576,00
		ავტოთვითმცლელის მომსახურება	რეისი		2					50	100	100,00
		ბეტონის ტუმბოს მომსახურება (კომპა)	მ3		72					10	720	720,00
		პირდაპირი დანახარჯები										**132259,74**
		ზედნადები ხარჯები - 5%	5%									6612,99
		ჯამი										**138872,72**
		გეგმიური დაგროვება - 8 %	8%									11109,82
		ჯამი										**149982,54**
		რეზერვი გაუთვალისწინებელ ხარჯებზე	3%									4499,48
		ჯამი										154482,02
		დღგ	18%									27806,76
		ჯამი										182288,78

შემსყიდველი
შპს „ბათუმის წყალი"
გენერალური დირექტორი
თენგიზ ქოქოლაძე

მიმწოდებელი
შპს „BUILDING"
დირექტორი
გორა ბასილაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 24 ნოემბერი, 2017 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სოფელ ხალაში, მდინარე ჩაქვისწყლის სასმელი წყლის ნაგებობის მიმდებარე, სანაპიროს სამაგრი მონოლითური რკინა-ბეტონის ჯებირის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწ-ვევს ინტერესთა კონფლიქტს **შპს „BUILDING“**-სთან

შპს „ბათუმის წყალი“-ს

გენერალური დირექტორი — თენგიზ ქოქოლაძე

შპს „ბათუმის წყალი“-ს მთავარი ინჟინერი — მამუკა ქოქოლაძე

შპს „ბათუმის წყალი“-ს წყალმომარაგების

სამსახურის უფროსი — გოჩა კაჭახმაძე

შპს „ბათუმის წყალი“-ს

სამუშაოთა მწარმოებელი — ოთარ ძნელაძე

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080109819964717

 # 3063

17 / ნოემბერი / 2017 წ.

შპს „ბათუმის წყალისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2017 წლის 14 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „ბათუმის წყალის“ SMP170002643 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია სოფელ ხალაში, მდინარე ჩაქვისწყლის სასმელი წყლის ნაგებობის მიმდებარე, სანაპიროს სამაგრი მონოლითური რკინა-ბეტონის ჯებირის მოწყობის სამუშაოების (CPV- 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) შესყიდვა, ღირებულებით - 187450 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2017 წლის 15, 16 და 17 ოქტომბერს მოსული უხვი ნალექის შედეგად, სოფელ ხალაში, მდინარე ჩაქვისწყლის სასმელი წყლის ნაგებობის მიმდებარედ განვითარდა მეწყერული პროცესები, რის გამოც საფრთხე შეექმნა ქალაქ ბათუმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების სასმელი წყლით უზრუნველყოფას. 2017 წლის 20 ოქტომბრისათვის მოხერხდა ზარალის შესწავლა, რაზეც შედგენილი იქნა დეფექტური აქტი. მომართვაში მითითებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელდა 2017 წლის 6 ნოემბერს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით (SMP170002546). მიმწოდებლის მიერ, აღნიშნული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა 2017 წლის 13 ნოემბერს, შესაბამისად, მოცემული ღონისძიება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ ვერ დაიგეგმა.

როგორც მომართვიდან ირკვევა, აჭარა გამოირჩევა უხვი ნალექიანობით, რის გამოც არსებობს საფრთხე, რომ სრულიად მოიშალოს წყალმიმღებზე მისასვლელი გზა, რომელიც გამოიყენება კაშხალზე მდინარის მიერ მოტანილი ქვა-ღორღის გასატანად და მძიმე ტექნიკის მისასვლელად. იმ შემთხვევაში, თუ დროულად არ მოხდება

წყალმიმღები კაშხალის გაწმენდა მდინარის მიერ მოტანილი ქვა-ღორღისაგან, რომელიც მასიურად შემოაქვს მდინარეს, მოხდება წყალმიმღების მდინარის ნატანით გავსება, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად დააზიანებს წყალმიმღებ კაშხალს (შესაძლებელია საერთოდ მოიშალოს) და საფრთხეს შეუქმნის ქალაქ ბათუმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების სასმელი წყლით უზრუნველყოფას. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, აუცილებელია, დროულად მოხდეს საყრდენი კედლის მოწყობა რკინა-ბეტონის კონსტრუქციით. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის ელექტრონული პროცედურების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული მომსახურებების გაწევისათვის საჭირო ვადის გათვალისწინებით, არსებობს რისკი იმისა, რომ დადგენილ ვადაში ვერ მოხდეს მითითებული შედეგის მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოცემული სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტია სოფელ ხალაში, მდინარე ჩაქვისწყლის სასმელი წყლის ნაგებობის მიმდებარე, სანაპიროს სამაგრი მონოლითური რკინა-ბეტონის ჯებირის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

ამასთან, აჭარა გამოირჩევა უხვი ნალექიანობით, რის გამოც არსებობს საფრთხე, რომ სრულიად მოიშალოს წყალმიმღებზე მისასვლელი გზა, რომელიც გამოიყენება კაშხალზე მდინარის მიერ მოტანილი ქვა-ღორღის გასატანად და მძიმე ტექნიკის მისასვლელად. იმ შემთხვევაში, თუ დროულად არ მოხდება წყალმიმღები კაშხალის გაწმენდა მდინარის მიერ მოტანილი ქვა-ღორღისაგან, რომელიც მასიურად შემოაქვს მდინარეს, მოხდება წყალმიმღების მდინარის ნატანით გავსება, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად დააზიანებს წყალმიმღებ კაშხალს (შესაძლებელია საერთოდ მოიშალოს) და საფრთხეს შეუქმნის ქალაქ ბათუმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების სასმელი წყლით უზრუნველყოფას. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, აუცილებელია, დროულად მოხდეს საყრდენი კედლის მოწყობა რკინა-ბეტონის კონსტრუქციით. შესაბამისად, მოცემული შესყიდვის განხორციელების მიზნით, შესყიდვის ობიექტის შესასყიდად შესყიდვის ელექტრონული პროცედურების გამოყენება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, მიზანშეწონილი არ არის, რადგან შესყიდვის ელექტრონული პროცედურების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული სამუშაოების გაწევისათვის საჭირო ვადის გათვალისწინებით, არსებობს რისკი იმისა, რომ შეზღუდულ ვადაში ვერ მოხდეს მითითებული შედეგის მიღება.

სააგენტო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შესყიდვები განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს შპს „ბათუმის წყალის“ SMP170002643 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შესყიდვების დასადგენად მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე

[redacted]

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №146

2017 წლის 22 ნოემბერი ქ. ბათუმი

შპს,,ბათუმის წყლის" მიერ სახელმწიფო შესყიდვების
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შპს ,,ბათუმის წყალმა" სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სოფელ ხალაში, მდინარე ჩაქვისწყლის სასმელი წყლის ნაგებობის მიმდებარე, სანაპიროს სამაგრი მონოლითური რკინა-ბეტონის ჯებირის მოწყობასთან დაკავშირებული 187 450 (ას ოთხმოცდაშვიდი ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარის ღირებულების სამუშაოების (CPV- 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) სახელმწიფო შესყიდვა, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე